პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---სექტემბერი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნიკო მუსხელიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეცნიერისა და მთარგმნელის გივი გაჩეჩილაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, ნიკო მუსხელიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მეცნიერისა და მთარგმნელის გივი გაჩეჩილაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

X:487213 Y:4616306
X:487706 Y:4616297
გივი გაჩეჩილაძის ქ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW -
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

N 2095/01-01-03

13/02/2024

2095-01-01-03-2-
202402131804

06-032 40455-03.
19/03242 2210-03
17-03 242 6153-03.

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოგმართავთ წინადადებით, რათა ქ. თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს გივი გაჩეჩილაძის სახელი.

პროფესორი გივი გაჩეჩილაძე (1914-1974) იყო თვალსაჩინო მეცნიერი, თსუ ინგლისური ფილოლოგიის კათედრის დამაარსებელი (1964წ.) და მისი პირველი გამგე თავის გარდაცვალებამდე . მას მიუძღვის დიდი ღვაწლი მრავალი სტუდენტისა და დოქტორანტის აღზრდაში. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში პიროვნული ნაშრომებისათვის მხატვრული თარგმნის თეორიაში.

გარდა სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა, გივი გაჩეჩილაძე იყო უცხოური, უპირატესად ინგლისურენოვანი, პოეზიის შესანიშნავი მთარგმნელი. მან პირველმა თარგმნა ქართულ ენაზე უილიამ შექსპირის ყველა სონეტი, ბაირონის,შელის, ოსკარ უაილდის, ედგარ პოს და სხვათა პოეტური ნაწარმოებები, ინგლისური ხალხური პოეზია, მათ შორის „ რობინ ჰუდის ბალადები". ის იყო შექსპირის თხზულებების საქართველოში პირველი აკადემიური გამოცემის მთავარი რედაქტორი (მის სიცოცხლეში მოესწრო 6 ტომის გამოცემა). მისი თარგმნები დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქართველ მკითხველს შორის.

მიმდინარე წელს სრულდება გივი გაჩეჩილაძის დაბადების 110 და გარდაცვალების 50 წელი.

მიგვაჩნია, რომ გივი გაჩეჩილაძის, რომელიც დაიბადა და გარდაიცვალა თბილისში, სახელის უკვდავყოფა თბილისის ერთ-ერთი ქუჩის სახელში სავსებით გამართლებული იქნება.

ჯაბა სამუშია



რექტორი, აკადემიკოსი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

თავმჯდომარეს ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მოქ: დავითი შენგელია

მცხ: შალვა ამაღლების 21$^{\underline{ა}}$-ს მიმდებარედ

ტელ: 568 70 67 38

პ.ნ: 48001001392

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგმართავთ თხოვნით, ისნის რაიონის შ. ამაღლების 21$^{\underline{ა}}$-ს მიმდებარე უბანზე მაცხოვრებლები. - ჩვენ ითხოვეთ, მოხუცლოვანი მაცხოვრებლები ოჯახები. ხასხლიანი დახმარების მიზნით ვეძიავინ ვეძ გვაკნებს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ და მივნიჭოთ ქუჩის სახელწოდება ამ უბანს.

დავითი	შენგელია	48001001392	დ. შენგელია
გულანი	თოლორდავა	01011088512	ვ. თოლორდავა
მერაბ	თოლორდავა	01911115463	მ. თოლორდავა
მერიანა	ჩიქოვანი	48001020656	მ. ჩიქოვანი
დავით	ჩოხელიანი	01027079162	[illegible]
დიანა	ცაბაღლუ	62402018019	დ. ცაბაღლუ
მონიკა	ხიხახიშვილი	01011081269	[illegible]
ნინო	ხიხახიშვილი	19001096683	[illegible]
ქრისტინე	მუმლაძე	18001071304	ქ. მუმლაძე
გიორგი	სულაქველი	01021014026	[illegible]
შუხრე	ჩოხელიანი	19001022713	[illegible]
თამარი	ჩხეიდეური	01011078801	[illegible]

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032425399**
თარიღი: **09/09/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი დარიკო შენგელიას 2024 წლის 09 აგვისტოს საქმე #19/032422210-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია ისნის რაიონში, შალვა მშველიძის ქუჩის მიმდებარედ მისამართების მოწესრიგება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0124261856**
თარიღი: **17/09/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 09.09.2024 წლის #03-032425399 (09.09.2024 წ. #14-01242533907-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გივი გაჩეჩილაძე

(1914_1974)

ქართველი მთარგმნელი, პოეტი და ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

1936 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. გ. გაჩეჩილაძემ ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, 22 წლისამ, თავის ორ დიდ მოძღვარს, შალვა ნუცუბიძესა და ერეკლე ტატიშვილს, წარუდგინა ინგლისურად დაწერილი სადიპლომო შრომა ჯორჯ ბაირონის შემოქმედებაზე. ამ შრომის ქართული ვარიანტი 1938 წელს უნივერსიტეტმა დასტამბა შ. ნუცუბიძის რედაქტორობით.

მთარგმნელობითი მოღვაწეობა გ. გაჩეჩილაძემ სტუდენტობისას დაიწყო და გაამდიდრა ქართული ლიტერატურა შექსპირის, ბაირონის, შელის, ბერნსის, კიტსის, კიპლინგის, თომას მურის, ლონგფელოს, გოეთეს, ჰიუგოს, პუშკინის, ტიუტჩევის, შევჩენკოს, ბლოკის, ბრიუსოვის, ბაჟანისა და სხვათა შესანიშნავი თარგმანებით. მისი რედაქტორობით გამოიცა შექსპირის თხზულებათა ექვსტომეული ქართულ ენაზე.

გივი გაჩეჩილაძეს ღრმად ჰქონდა დამუშავებული მხატვრული თარგმნის თეორიის საკითხები. ამ პრობლემას მიუძღვნა მკვლევარმა მრავალი ნაშრომი, მათ შორის: „მხატვრული თარგმნის თეორიის საკითხები. რეალისტური თარგმნის პრობლემა“ და „მხატვრული თარგმანი და ლიტერატურული ურთიერთობანი“. ეს უკანასკნელი 1972 წელს გამოიცა მოსკოვში და თარგმნილია უცხო ენებზე.

1962 წლიდან სათავეში ედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ფილოლოგიის კათედრას.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.